სსრ კავშირის ჩემპიონატი

25-26 ივლისს გაიმართა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები. შაბათის შეხვედრათა შედეგები გამოქვეყნებული გვქონდა. 26 ივლისს კი ცსკა-მ თავის მინდორზე მარცხი განიცადა კიევის „დინამოსთან“ შეხვედრაში 0:2.

მოხდა ისე, რომ მე-18 და მე-19 ტურებში თვისებური „მინიტურნირია“ ჩემპიონატის აუტსაიდერთა შორის. ბოლო 4 ადგილზე იმყოფებოდნენ „დინამო“ (თბილისი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), „ზენიტი“ (ლენინგრადი) და „გურია“ (ლანჩხუთი). 25 ივლისს ერთმანეთს შეხვდნენ „ზენიტი“ – „დინამო“, „ქაირათი“ – „გურია“. 29 ივლისს კი ითამაშებენ „ქაირათი“ – „დინამო“, „ზენიტი“ _ „გურია“.

ფრიად სამწუხაროა, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ზრუნვა უხდებათ საქართველოს ვუნდებს, მაგრამ ფაქტი ფაქტია, მას ვერსად წაუხვალ. ამიტომაც სწორედ ჩამორჩენილთა ამ „მინი-ტურნირს“ ბევრი რამ შეუძლია გადაწყვიტოს. მაგრამ პირველი შედეგები ჯერ-ჯერობით სახარბიელო ვერაა. საქართველოს გუნდებმა 4 შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და, ბუნებრივია, არც 29 ივლისს გვიძევს წინ გასართობი გასეირნება ალმა-ათისა და ლენინგრადის სტადიონებზე. მხოლოდ თავგამოდებულ ბრძოლას, მხოლოდ ძალების მაქსიმალურ, ზღვრულ მობილიზაციას შეუძლია ჩვენი გუნდების ხსნა.

ლენინგრადის „ზენიტის“ ბოლოდროინდელი ამბები ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, კარგად იციან.

„ზენიტმა“ 11 ივნისს მოსკოვში დაამარცხა გათამაშების ლიდერი „სპარტაკი“ – 3:1. ეს იყო ლენინგრადელთა ზენიტი წლევანდელ შეჯიბრებაში. მას შემდეგ გუნდმა ჩემპიონატის 5 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 4 წააგო და მხოლოდ ერთხელ მიაღწია ფრეს. „ზენიტმა“ 1984 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მაგრამ ეტყობა, გუნდმა ვერ გაუძლოო თავისივე ამ დიდ წარმატებას, დიდ დატვირთვებს და სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უხდება ფიქრი. კოლექტივში ფრიად უსიამოვნო კონფლიქტი მოხდა. ზენიტელთა 16 ფეხბურთელმა გადაჭრით გაილაშქრა გუნდის მთავარი მწვრთნელის პ. სადირინის წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვა: ან ჩვენ, ან პ. სადირინი.

ლენინგრადელთა მთავარ მწვრთნელს დიდი დამსახურება მიუძღვის „ზენიტის“ წინაშე, როგორც ფეხბურთელს და როგორც მწვრთნელს, მაგრამ ეტყობა, დრონი იცვლებიან. ეს მწვავე კონფლიქტი კი იმით დამთავრდა, რომ პ. სადირინს „ზენიტის“ დატოვება მოუხდა გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა მისი ყოფილი მოთამაშე, მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი, ვ. გოლუბევი. სწორედ ვ. გოლუბევმა გამოიყვანა „ზენიტი“ ს. მ. კიროვის სახელობის

სტადიონზე თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ სათამაშოდ. მატჩს სჯიდა მოსკოველი ა. კირილოვი.

გუნდების შემადგენლობანი: „ზენიტი“ - ბირიუკოვი, კუზნეცოვი (კანიშჩევი, 46), სტეპანოვი, ტიმოფეევი, აფანასიევი, ვორობიოვი, დოლგოპოლოვი, ივანოვი, ჩუხლოვი, ბარანიკი, კლემანტიევი; „დინამო“ - გაბელია, კეტაშვილი, ცივაძე, ჭედია, ცვეიბა, კორღალიძე (გოგრიჭიანი, 88) , სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი, გურული (ქეცბაია, 86), შენგელია, გააფრთხილეს კორღალიძე, დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა - 1:0.

ამ მატჩში მასპინძლები საკმაოდ მალე დაწინაურდნენ: მე-8 წუთზე გადაცემა მიიღო კლემენტიევმა. დინამოელთა მცველებმა სწორად ვერ ითამაშეს და ლენინგრადელმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი გაბელიას კარში - 1:0.

გავიდა კიდევ 8 წუთი და თბილისელებმა თანაფარდობა აღადგინეს. „ზენიტის“ კარში დაახლოებით 18-19 მეტრიდან დაინიშნა საჯარიმო, კორღალიძემ ზუსტად დაარტყა და გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

შესვენებამდე მინდორზე შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა. თბილისელთა იერიშებს ხელმძღვანელობდა გამოცდილი შენგელია. მას შესაძლებლობაც ჰქონდა დაეწინაურებინა თვისი გუნდი. ხშირად უტევდნენ ლენინგრადელებიც, მაგრამ ორივე მხარის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ კი თამაშის ტემპმა საგრძნობლად მოიკლო. მეტოქეები ზედმეტად ფრთხილობდნენ. დინამოელებს, ეტყობა, ხელს აძლევდა მეტოქის მინდორზე აღებული ქულა. ამიტომ ისინი მხოლოდ კონტრშეტევებს დასჯერდნენ და ის ქულაც აიღეს - 1:1.

“ლელო”, 28.07.1987